საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო, დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990 შაბათი 21 ივლისი №87 (10324) ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## საბჭოთა კავშირის კომპარტიის 28-ე ყრილობის რეზოლუცია

## ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის შესახებ

ყრილობა შეშფოთებით აღნიშნავს, რომ უარესდება ვითარება სახალხო მეურნეობაში, ქვეითდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. ნელა გარდაიქმნება წარმოების სტრუქტურა, მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვება და მომსახურება ჩამორჩება ფულადი შემოსავლის ზრდას, კვლავინდებურად დიდია სამუშაო დროისა და მატერიალური რესურსების დანაკარგები, ეკონომიკა კვლავ ვერ ითვისებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევებს. კრიზისული მოვლენების კონცენტრირებული გამოხატულება გახდა სამომხმარებლო ბაზრის დაშლა, რომელსაც არა მარტო სოციალური, არამედ პოლიტიკური შედეგებიც აქვს, ძირს უთხრის მასების ნდობას გარდაქმნისადმი.

ეკონომიკაში კრიზისის ძირითადი მიზეზებია: სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დეფორმაცია, საკუთრებისა და მმართველობისაგან მშრომელის გაუცხოება, გათანაბრებისა და ნწვისი მოიმედეობის ფსიქოლოგია, მონოპოლიზმი და შრომის შედეგების საბაზრო შეფასების უქონლობა, უკანასკნელ ხანს როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში და ადგილებზე სახალხო მეურნეობის მართვადობის დარღვევა. შექმნილი დისპროპორციები სახალხო მეურნეობაში, საზოგადოებისათვის მეტად ძნელი დანახარჯები და ხარჯები, მეურნეობრიობის ხარჯვითი მექანიზმის შენარჩუნება, ზოზინი და ხარვეზები რადიკალური რეფორმის განხორციელებაში აფერხებს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას.

კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებაში, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში გამოიკვეთა ორი უკიდურესი პოზიცია. საზოგადოებას დაჟინებით სთავაზობენ: ან ავაღდგინოთ მკაცრი ადმინისტრაციულ-განაწილებითი მეურნეობრიობის ძველი მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკური ცხოვრების საყოველთაო გასახელმწიფოებრიობაზე, ან დაუყოვნებლივ მოვახდინოთ წარმოების ყველა საშუალების დენაციონალიზაცია და სრულიად ავიღოთ ხელი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე. ყრილობას ერთნაირად მიუღებლად მიაჩნია მომწიფებულ ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის როგორც ერთი, ისე მეორე გზა, ყოველი მათგანი ეწინააღმდეგება სოციალიზმის ძირითად ღირებულებებსა და მსოფლიო პრაქტიკას, იწვევს ადამიანის ხელშეუვალ უფლებათა შეზღუდვას და ვერ ქმნის მეურნეობრიობის ეფექტიან სისტემას.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტია ერთგულობს სოციალისტურ არჩევანს, და მიაჩნია, რომ ეკონომიკური რეფორმის რადიკალიზაციისა და სახალხო მეურნეობაში საქმის ვითარების გაუმჯობესების მთავარი შინაარსი უნდა გახდეს საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა გააფართოებს პრინციპის—თითოეულისაგან—უნარის მიხედვით, თითოეულს—შრომის შედეგების მიხედვით—რეალიზაციის შესაძლებლობებს, გააძლიერებს დიდნაყოფიერი და შემოქმედებითი შრომის მოტივაციას, შესაძლებლობას მოგვცემს შევქმნათ მწარმოებლისა და მომხმარებლის ხელსაყრელი ურთიერთობის ეფექტიანი მექანიზმი, ბოლოს მოუღებს ქრონიკულ დეფიციტსა და რიგებს, ძირს გამოუთხრის სპეკულაციისა და ფარული ეკონომიკის სხვა გამოვლინებათა ბაზას.

ამ ამოცანის შესასრულებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია მოსახლეობის ფართო ფენების ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა და ცხოვრების დონის დაქვეითების თავიდან აცილება. ამასთანავე პარტიას მიაჩნია, რომ სოციალური კომპენსაციის სისტემა, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ყველაზე ხელმოკლე ფენებისათვის დროულად უნდა შემუშავდეს და დამკვიდრდეს.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალ პირობებში მოხმარების საზოგადოებრივმა ფონდებმა უნდა უზრუნველყონ პენსიების, ბინების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების, კულტურისა და მეცნიერების მომსახურების სოციალურად გარანტირებული მინიმუმის შენარჩუნება, ხელი შეუწყონ საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებასა და წარმოების ეფექტიანობის ზრდას.

ყრილობა მხარს უჭერს ეკონომიკის ეფექტიანი სტრუქტურის ფორმირებას, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება საკუთრებისა და მეურნეობრიობის ყველა იმ ფორმის საკანონმდებლო თანასწორუფლებიანობა და შეჯიბრებითობა, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ბაზრის მთავარ სუბიექტებად მოქმედ დამოუკიდებელ საწარმოთა ურთიერთობა ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველი უნდა გახდეს.

ყრილობა მტკიცედ უჭერს მხარს ერთიანი საერთოსაკავშირო ბაზრის განვითარებას განახლებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე რესპუბლიკათა ეკონომიკური თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის პირობებში.

ყრილობა მხარს უჭერს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებს რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლის მკაფიო, მოფიქრებული და ხალხისათვის გასაგები პროგრამის შემუშავების შესახებ, რომელიც შეიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის გადაუდებელ ღონისძიებებს.

ყრილობას კომუნისტთა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მოაწყონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა საზოგადოება მოემზადოს საბაზრო ურთიერთობისათვის. პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა უნდა მოხმარდეს საზოგადოებაში იმის ღრმა გაგების ჩამოყალიბებას, რომ ბაზარზე გადასვლას არა აქვს ალტერნატივა და რომ ასეთი გადასვლა თვითმიზანი კი არა, შრომის ეფექტიანობის ზრდის, ხალხის ცხოვრების თვისებრივად ახალი დონის მიღწევის, თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცების, საბჭოთა სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნების საშუალებაა.

ყრილობის დელეგატები მოუწოდებენ კომუნისტებს გაუწიონ საზოგადოებრივი მხარდაჭერა ყველა თაოსნობას, რომლებიც ზრდიან წარმოების ეფექტიანობას, ხელს უწყობენ ინიციატივის, გერგილიანობის განვითარებას მშრომელთა ინტერესებისათვის.

ყველა პარტიული ორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციაში საბჭოების სრულუფლებიანობის აღორძინების პირობებში, ჩამოაყალიბონ ახალი ეკონომიკური აზროვნება, ხელი შეუწყონ კადრების მომზადებას, რომლებიც ახალ სამეურნეო პირობებში მუშაობას შეძლებენ.

---

სკკპ 28-ე ყრილობა: ეხმაურებიან მშრომელები

## გვჭირდება განახლებული იდეოლოგია

წლების განმავლობაში სტანდარტულ ცნებად, დოგმად იქცა ფორმულა კადრების შერჩევისა და განაწილების შესახებ. ეს საკითხი მეტწილად წყდებოდა ერთპიროვნულად, ყოველგვარი კონტროლის მექანიზმების გარეშე. ახლანდელ სიტუაციაში, როცა საზოგადოება და პარტია შემდგომი ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის გზას ადგანან, ამ პრინციპით პრობლემების გადაწყვეტა არ მოხერხდება. უნდა გამოიძებნოს ობიექტურობის გარანტიები. ერთ-ერთი მათგანია კონკურსების დაწესება.

სწორედ ამ დელიკატური საკითხის გადაწყვეტაში გვჭირდება ყველაზე მეტად პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრება, რაც პარტიის პროგრამასა და წესდებაში ცხადად და არაორაზროვნად უნდა გამოიკვეთოს.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ჩემს დამოკიდებულებას გარდაქმნის იდეოლოგიისადმი. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია ეფუძნებოდა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურებს, სადაც ამოსავალი დებულება გახლდათ კლასობრივი მტრობა და შეურიგებლობა. ახლა სხვა დროა, ვითარება შეიცვალა. რა თქმა უნდა, პარტია ვერ ჩაიკეტება მუშათა კლასის ინტერესებში. მან მთელი საზოგადოების სალხენი და სატკივარი უნდა გამოხატოს. ამდენად, დემოკრატიული სოციალიზმის შენებისას ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა კლასობრივი გათიშულობის თეორიით, არამედ ზოგადადამიანური ღირებულებების დამცველი იდეოლოგიით.

გ. კონჯარია,
საკონსერვო ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

---

## ამის მომხრე მეც ვარ

სკკპ 28-ე ყრილობაზე, რომ იტყვიან, ძირითადად გამოიკვეთა ორი ფრთა —დემოკრატებისა და კონსერვატორებისა. სიმართლე გითხრათ, მე პარტოკრატიის, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის წინააღმდეგ უფრო გაბედულ გამოსვლებს მოველოდი. მაგრამ წარსულის ინერცია მაინც თავისას აკეთებს. ჯერ კიდევ ძლიერია პარტიის, როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული მმართველი სტრუქტურის მომხრეთა პოზიციები. ამაში კი ბევრ არაფერს საიმედოს ვხედავ. კი ბატონო, ვიბრძოლოთ პარტიის კონსოლიდაციისათვის, მაგრამ ეს ერთი წუთითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ იმის ცდად, რომ დემოკრატიულ პლატფორმას და საერთოდ სხვადასხვა ალტერნატიულ მიდგომებს ბლოკირება გავუკეთოთ. ნუთუ არ უნდა გავიცნობიეროთ, რომ პარტიას არა აქვს მორალური უფლება ისევ განაცხადოს პრეტენზია პოლიტიკურ მონოპოლიაზე. არსებობს მისი ეფექტურად ფუნქციონირების ერთადერთი გზა. ესაა მრავალპარტიულობის პირობებში ავტორიტეტის აღდგენისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში მე მის გვერდით ვიქნები.

გ. აბუშავა,
ზედაეწერის მეურნეობის მთავარი აგრონომი.

## თვალსაზრისი

# სად არის ხსნის გზა?

ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი, ვისაც ოდნავ კრიტიკული აზრის უნარი შერჩენია, ახლანდელი მოვლენების შემხედვარე, ძალაუნებურად თავის თავს დაუსვამს კითხვას: რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში, საით მივდივართ? ტრივიალურია, რათქმა უნდა, ეს კითხვა, მაგრამ იგი გონივრულ პასუხს ითხოვს.

სიძნელეების, დეფიციტის ნიაღვარი, რომელმაც ყოველი მხრიდან შემოგვიტია, ეტყობა, იოლად არ აპირებს ჩაცხრომას. ჩვენც ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ ამ ნიაღვრის გამაუვნებელი მექანიზმების გამოყენებას. გვიჩნდება შიში, სასოწარკვეთილების, სოციალური დაუცველობის კომპლექსი. ხსნა ალბათ ისევ და ისევ კონსტრუქციული ზომების დაუყოვნებლივ გატარებაშია.

მაინც რა ბორკავს მასების ენერგიას ახლის დამკვიდრების გზაზე? უპირველეს ყოვლისა იდეოლოგიური დოგმები, რომლებმაც ისე დააცემენტეს მმართველობითი, თუ ეკონომიკური სტრუქტურები, რომ თავისუფალ აზრს სული ეხუთება. პრესის, სხვა იდეოლოგიური ინსტიტუტების დემონოპოლიზაცია ის სარქველია, რომლითაც „პერესტროიკამ" ახალი, მაცოცხლებელი ენერგია მიუშვა პოლიტიკური პლურალიზმის ჩარხს. ყველამ უნდა ვეცადოთ ამ ენერგიას უჯეში ძალა არ აღუდგეს წინ.

დღეს პარტიის მონოპოლიაზე, მისი, როგორც მართვის ცენტრალიზებულ, სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე საუბარი ანაქრონიზმია. მან ფართოდ უნდა გაუღოს კარები ახალ ფორმირებებს, პლატფორმებს. პოლიტიკურ-საზოგადოებრივ შეხედულებათა ამ მრავალფეროვანმა პალიტრამ უნდა მისცეს ახლებური იმპულსი, დინამიზმი ჩვენს სულიერ ცხოვრებას, ჩვენს ეკონომიკას.

დიახ, გვიდგას ძიების, ახლის შენების რთული, რომანტიკული ჟამი. საზოგადოების დემოკრატიზაციის მტკივნეული პროცესი, მართალია, ძნელად, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. ბუნებრივია, იგი უფრო ჩქარი ტემპით წავიდოდა წინ, კონსერვატორული ძალები რომ არა. რაზე არიან ორიენტირებული ერთპარტიული მმართველობის ადეპტების ნოსტალგია? მათ აშინებთ დოგმატური სტრუქტურების რღვევა, პარტიული მონოპოლიზმის შესუსტება და ყოველნაირად ებღაუჭებიან ძველ მექანიზმს. მათ აშინებთ დასავლური კულტურის, ცივილიზებული საზოგადოების ღირებულებებისადმი პატივისცემის ტენდენცია და ნატრობენ იმ დროს, როცა „გამხრწნელი" დასავლური გავლენისაგან „კომუნიზმის მშენებელ" ხალხს რკინის ფარდა იცავდა. სამეცნიერო და კულტურული იზოლაციონიზმის ამ იდეას ჩვენდა სამწუხაროდ ხელმძღვანელობის ზედა ეშელონებშიც უჭერენ მხარს. და ამიტომაც უნდა დავუპირისპირდეთ ძალებს, რომლებმაც ქვეყანა არასწორად და უსამართლოდ მოაწყვეს და დღემდე ჯიუტად არ ცნობენ ასპარეზიდან წასვლის გარდუვალ კანონს. მაგრამ ეს ერთი წუთითაც არ ნიშნავს კონფრონტაციის გაღრმავებას, მით უფრო არაცივილიზებული საშუალებებით მის ოპერირებას. ყოველმა ჩვენგანმა, ვითარცა ქრისტიანმა, ისიც უნდა დაიმახსოვროს, რომ ამქვეყნიური უსამართლობა მხოლოდ მიწიერი ადამიანების ცოდვილ ნებას კი არ ბრალდება, არამედ თვით სამყაროს უმაღლეს შემოქმედს, ღმერთს. აი, ეს მომენტი გვკარნახობს ვძლიოთ სისასტიკე და სიძულვილი და გონიერი საწყისით გავაბატონოთ ჰარმონია.

ორიოდე სიტყვით დღევანდელ საბჭოურ ეკონომიკაზე. იგი დღემდე ჩვენს მიერ მოგონილი ქიმერის—სახელმწიფო საკუთრების წნეხქვეშ იხრჩობა. სანამ არ მოვახდენთ მის დენაციონალიზაციას, სანამ კერძო, კოლექტიური, აქციონერული საკუთრების მფლობელის მანდატს არ გადავცემთ უშუალოდ პროდუქციის მწარმოებელ ადამიანებს, ხსნის გზა არ გამოჩნდება. უკვე აღარავის სურს დაიჯეროს მითი სოციალისტური და კაპიტალისტური ეკონომიკის შესახებ. არ არსებობს მესამე ალტერნატივა. არსებობს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური და საბაზრო ეკონომიკა. პირველის ხელშია მირიადი დევი, სალტე, ჯაჭვი, რომლითაც იგი ძველბერძენ ლაოკოონივით ბორკავს ადამიანის ძალას, უნარს, მისწრაფებას. მეორე ვარიანტი კი სახურავახდილ ბანჯარას მოგვაგონებს, საიდანაც წლობით დატყვევებულმა უნარმა და ფანტაზიამ ბოლოს-ბოლოს თავი უნდა აღწიოს და საბაზრო ეკონომიკას მიაშუროს.

ამიტომ დღეს, ვინაც დემოკრატიული, ცივილიზებული საქართველოს აშენებისათვის ზრუნავს, ყველაფერი უნდა იღონოს დრომოჭმული სტრუქტურების მოსაშლელად. თუ რამ მცირეოდენი კონსტრუქციული მარცვალი ამ ძველში არის შევინარჩუნოთ, მაგრამ ენერგიულად ჩავუნაცვლოთ ახალი, ნოვატორული. ეს ძიების, თვით დამკვიდრების ზღვარდაუდებელი სფეროა. და ყოველი ჩვენგანის ფიზიკური და სულიერი ძალები მაქსიმალური შეწირვით უნდა გაიხარჯოს.

მაგრამ განახლების პროცესს შეუნელებელი სიფხიზლე უნდა სდევდეს თან. დემოკრატია დემონოკრატიად არ უნდა გვექცეს, რასაც ქვეყნის ხსნისაკენ კი არა, მისი დაღუპვისაკენ მივყავართ. ჩვენ არ უნდა გვაცდუნოს უტოპიზმის ერესმა იმ დოზით, რომ მამულის ხსნის მესიანისტური ფუნქციის ერთადერთ აღმასრულებლად თავი წარმოვიდგინოთ. ჩვენ გვჭირდება ერთიანობა, მოქმედების მთლიანი სტრატეგია. ეს ურთიერთკომპრომისის, შინაგანი თანხმობის, კონსენსუსის გზით უნდა იქნას მიღწეული. თუ ასე არ მოხდა, ქვეყნის ხსნის ღვთიური ნება წმინდანობიდან ტირანიისა და ძალადობისაკენ მიმავალ გზაზე შეგვაყენებს.

ეს გზა წარსულმა უნდა შთანთქას. და ისე, რომ ისტორიის ახალ მონაკვეთზე, დემოკრატიული საქართველოს შენებისას მისი ავბედითი ანარეკლიც არ ჭაჭანებდეს ჩვენი ცხოვრების თვალსაწიერზე.

ზ. ცხონდია

---

განვიხილავთ საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტს

# მომავლის ინტერესების გათვალისწინებით

როგორც ცნობილია, სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები მეცნიერების განვითარებასთან ერთად იცვლება, ხოლო აღზრდის პროცესები დღესაც იგივეა რაც ერთი საუკუნის თუ საუკუნე ნახევრის წინათ იყო. დღეს აღზრდაში თანამშრომლობის იდეის დამკვიდრება დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის ამოცანებთან. დღეს აღზრდის ობიექტი უნდა იყოს არა პროგრამები და დებულებები, არამედ ბავშვი, მისი ყოველდღიური შესწავლა. სკოლის დემოკრატიზაცია გულისხმობს სასკოლო ცხოვრების ორგანიზაციულ დაყოფას აკადემიურ (სასწავლო საამზრდელო და სასწავლო აღმზრდელობითი - ნებაყოფლობით) ფორმებად. ამიტომ აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა, აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანი გეგმის შემუშავება დღეს პირველი რიგის ამოცანაა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქცევის წესების ცოდნა და მისდამი დამოკიდებულება ერთი და იგივე როდია. მოსწავლემ შეიძლება კარგად იცოდეს ქცევის წესები მაგრამ არ ასრულებდეს მას, დადებითი დამოკიდებულება არ ჰქონდეს მისადმი. მოსწავლეთა აღზრდის საქმე იმდაგვარად უნდა წარვმართოთ, რომ აღსაზრდელებს ჩამოვუყალიბოთ დადებითი დამოკიდებულებათა განწყობის სისტემა.

კონცეფციაში კარგი აზრებია გამოთქმული სამშობლოს ერთგული მამულიშვილის აღზრდის პრობლემებზე. მაგრამ არაფერია ნათქვამი სკოლამ და მასწავლებელმა როგორ დაძლიონ სკოლიდან ბავშვის გაუცხოების მიზეზები, ე. ი. სწავლებისადმი მოსწავლის დამოკიდებულების ფსიქოლოგიური პედაგოგიური დამოკიდებულებანი. აქ საჭიროა პასუხი გაეცეს იმას თუ რა ემართება ცოდნის შეძენის წყურვილით სკოლაში მოსულ ბავშვს. რატომ იცრუებს გულს სწავლაზე, სად ქრება შემეცნების გამდიდრებისაკენ სწრაფვის ბუნებრივი სურვილი. რა როლი მიუძღვის პედაგოგს იმაში, რომ მოსწავლემ გული აიცრუა სწავლაზე. როგორ ფლობს პედაგოგი საგნის გადაცემის ხელოვნებას და რამდენ კომპეტენტურია იგი იმ საგანში რომელსაც ასწავლის. ვფიქრობ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის დაინტერესებაში.

კონცეფცია ითვალისწინებს მოსწავლეთა ხუთბალიანი სისტემის მოდელის შეცვლას. ეს დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვის შედეგად უნდა მოხდეს. დღეისათვის სკოლა და მასწავლებელი ამისათვის მზად არ არის. მიზანშეწონილად მიმაჩნია ხუთბალიანი სისტემიდან ამოვიღოთ „ერთიანი", როგორც დამამცირებელი შეფასება და დავტოვოთ ოთხბალიანი. ვფიქრობ ეს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს სწავლა აღზრდის საქმეს.

თ. ლურჯაია,
№ 8 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

---

აკაკი წერეთელი — 150

# შეხვედრა მელიტონ დადიანთან

დაბა სენაკში სკოლის გახსნით კმაყოფილნი იყვნენ არა მარტო სამეგრელოს მკვიდრნი, არამედ საქართველოს მთელი მოწინავე ინტელიგენცია, ვისთვისაც ძვირფასი იყო ეროვნული კადრების მომზადება და ეროვნული კულტურის გაფურჩქვნა.

ცხადია, თავად აკაკიც, რომელიც ესწრებოდა სკოლის კურთხევას, შვებით სუნთქავდა, რადგან მიზანს ვერ მიაღწიეს მათ, რომლებსაც მარტვილის სკოლის ცეცხლისაგან განადგურების შემდეგ ქუთაისში სურდათ ამ სკოლის გადატანა.

იმ მებრძოლთა შორის, რომლებიც მკერდით დაუდგნენ წინ სამეგრელოში სკოლის მოშლას, აკაკი პირველი კაცი იყო და სამართლიანად ამაყობდა ამით.

სკოლის კურთხევიდან ჯერ ერთი წელიც არ იყო ხეირიანად გასული და ხმა დაირხა, სენაკის სკოლაში სალიტერატურო ქართულის ნაცვლად მეგრულს ასწავლიანო.

აკაკი აღაშფოთა ამ ინფორმაციამ და დაუყოვნებლივ ჩავიდა სენაკში. როგორც გამოირკვა, ინფორმაცია მთლად ყურმოკრულ ჭორებზე არ იყო აგებული.

სკოლის ინსპექტორმა სამსონ ყიფიანმა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ფ. ლევიტსკის სპეციალური მოწერილობა დაუდო მაგიდაზე აკაკის.

კარგახანს თვალს არ უჯერებდა მგოსანი, ეგ როგორ შეიძლება, მაგრამ მეორედ და

### წერილი მეოთხე

მესამედ რომ გადაიკითხა ნაწერი, ოხვრა აღმოხდა.

ფ. ლევიტსკი კატეგორიული ტონით წერდა, რომ სენაკის სკოლაში პირველ წელს სწავლა ყოფილიყო მეგრულად, ხოლო ქართული დაეწყოთ მხოლოდ მეორე წელს.

აკაკიმ ადგილობრივი მოსახლეობის აზრი ჰკითხა სამსონ ყიფიანს. მოსახლეობა წინააღმდეგი იყო პირველ წელს სკოლაში მეგრული ენის სწავლებისა. სასწრაფოდ შეკრიბეს ადგილობრივი ინტელიგენცია და დაიწყეს ფ. ლევიტსკისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტის შედგენა.

ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას არგუმენტებიც სჭირდებოდა მტკიცე.

აკაკისათვის უცხო მამაკაცი აქტიურობდა და ეცხობოდა კიდეც, რუსების დასაჭყურები სახლი არა გვაქვს სენაკელებს, ჩვენ ჩვენს თავს ლევიტსკისაც მოვუვლით როგორმეო, იძახდა.

—ვინ არისო ეს გაბედული კაცი,—გადაუჩურჩულა აკაკიმ სამსონ ყიფიანს.

ცხარე კამათში ყიფიანმა დრო ვერ გამონახა აკაკისათვის პასუხის გასაცემად, თვალით კი ანიშნა, მერე გეტყვით ყველაფერსო.

ითათბირეს, ბოლოს მოუხმეს და ლევიტსკისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი შეადგინეს, რომელშიც დაასაბუთეს, რომ სამეგრელოს სკოლებში პირველ წელსაც აუცილებელი იყო ქართული ენის სწავლება.

წერილის ერთი ეგზემპლარი გადასაგზავნად ჩათვალეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა," გამგეობისათვის. მასპინძლებმა ოჯახში გაუმართეს სადილი აკაკი წერეთელს.

ოჯახის თავკაცი აღმოჩნდა ის, ვინც კამათში აქტიურობდა და ლევიტსკის სათხოვარი რა გვაქვს ქართველებსო, რომ იძახდა.

—ეს ადამიანი გახლავთ თავადი მელიტონ დადიანი, რომელმაც სენაკის სკოლის მშენებლობას 100 მანეთი შესწირა და ახლა უშიშრად რომ დგას ქართულ ორიენტაციაზე—უთხრა სამსონ ყიფიანმა დიდ მგოსანს. აკაკი კმაყოფილი დაბრუნდა ქუთაისს.

იპოლიტე გამსახურდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი და ეკონომიკური რეფორმა

# როცა ეკონომიკური ბერკეტი გზას იკვლევს

დარჩელი ეკონომიკურად ძლიერი სოფელია. 1800 კომლი და 4500-მდე მცხოვრები, სოციალური განვითარების გარკვეული დონე და სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობა მას რაიონის დაბალი ზონის ცენტრად აქცევს. აქაური სახნავ-სავარგულები მეტწილად მდინარე ენგურისპირა ნოყიერ მიწებზეა გაშლილი, რაც ჩაის, სიმინდის, სოიოს, ციტრუსების, თხილის, დაფნის, ბოსტნეულის და ბალჩეულის უხვი მოსავლის მოყვანის საუკეთესო პირობებს ქმნის.

მოკლე ექსკურსი მეურნეობის წარსულში: მელენტი ახალაია, მეურნეობის ამჟამინდელი დირექტორი, ოდნავ ნაღველგარეული ხმით იგონებს ამ ხუთი-ექვსიოდე წლის წინანდელ ამბებს, როცა აქ სამუშაოსაგან გაუცხოების მძიმე და უცნაური ატმოსფერო სუფევდა. ბუნების მიერ ბოძებულმა სიკეთემ უფრო მეტად კერძო სექტორში გაიჩინა ნამდვილი პირისუფალი, ხოლო საზოგადოებრივი მეურნეობის ნათესი ფართობები და მრავალწლიანი ნარგავები უპატრონოდ მიტოვებული იაზ-იანებივით მოჩანდნენ. საჭირო იყო ასეთი დამოკიდებულებისათვის გზა გადაეკეტათ და მოსახლეობისათვის დაებრუნებინათ რწმენა, კანონისა და წესდებისადმი მორჩილების გრძნობა და შინაგანი განწყობა იმისა, რომ პოზიცია დაკარგულ სოფელს თავისი ოდინდელი რეპუტაცია აღედგინა.

ჩვენი თანამოსაუბრე კეთილად იგონებს მაშინდელ დირექტორთან ოთარ ანთიასთან გატარებულ წლებს, მის თავდავიწყებამდე მისულ მუშაობას, ორგანიზატორულ ფხას, რომლის მეოხებით დარჩელი წელში გაიმართა, მოდუნებული სასიცოცხლო ძარღვი აღუდგა. გამჭრიახი კაცია ბატონი ოთარი, — ამბობს მელენტი მეურნული გუმანით იგრძნო, რომ მარტო დისციპლინითა და მომთხოვნელობით ფონს ვერ გავიდოდა და ეკონომიკური ბერკეტების მოძიებით ხცადა ხელმიშვებული რეზერვების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა. ახლა ჩვენთან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თანაარსებობს წარმოების ორივე ფორმა: განზოგადებული კოლექტიური შრომის ტრადიციული მოდელი და თვითმმართველობის პრინციპზე დაფუძნებული ახალი სტრუქტურები, რომლებშიც უფრო ლაღად იგრძნო თავი გლეხკაცის სიბეჯითემ, ყველა სახის ეკონომიკურმა სტიმულებმა,— გვიხსნის კოლექტივის ხელმძღვანელი და ამ სიტყვებიდანაც ჩანს, რომ თანდაყოლილი ალღო და უბრალოება მას საოცრად უადვილებს ადამიანებთან ურთიერთობას.

სამეურნეო მაჩვენებლების ჩრდილში დანახული შტრიხები: სანამ ციფრებს ვახსენებდეთ, გეტყვით იმ რეალურ ნაბიჯებზე, რომლებმაც სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა ხელშესახებ ფენომენად აქცია. ამ საქმეში წონადია სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის გრიშა ბედიას ღვაწლი და მისივე მონაყოლს უფრო დავეჯერებათ:

ამ ბოლო წლებში სოფელს შეემატა ახალი საბავშვო ბაღი, ბრიგადირის სახლი. 15 კილომეტრზე კეთილმოეწყო გზები. კოკის უბანში მალე ივლის ავტობუსი. წელსვე სოფლის ცენტრში აღიმართება ცხრა აპრილის ხსოვნის მემორიალი. მომავალი წლისათვის მწყობრში ჩადგება ახალი სასწავლო კორპუსი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, კიროვის უბნის ახალი რვაწლიანი სკოლა, აბანო. მივაღწიეთ იმას, რომ დარჩელის ჩაის ფაბრიკა მომავალი სეზონიდან თხევად საწვავზე იმუშავებს.

სოფელი მოუთმენლად ელის მომავალი წლის დადგომას, როცა პრაქტიკულად გადაწყდება მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომსახურება და პოლიკლინიკის გახსნა.

ის ფაქტი, რომ ჩაის წარმოების წლიური გეგმა 18 ივლისისათვის 47,2 პროცენტით არის განაღდებული, გადაჭარბებით არის უზრუნველყოფილი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და ჩაბარების ნახევარი წლის დავალებანი, აქ არ მიაჩნიათ განსაკუთრებულ მიღწევად. მაგრამ დირექტორს უმადურობის ნასაბიც ვერ შევატყვეთ. ქებით მოიხსენია №2, №5 და №7 საწარმოო არენდული ბრიგადები, რომელთაც გონელი სიჭინავა, ნუგზარ სიჭინავა და ჟორა ბიგვავა უძღვებიან. ყოველმა მათგანმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის წარმოების მაის-ივნისის დავალებანი.

გგონიათ სჯერდებიან იმას, რომ სამუშაოების სწორად დაგეგმვა და ორგანიზება მოაპერხეს? არა. მეურნეობის მესვეურებს სხვა საზრუნავი აწუხებთ. ისინი მიმდინარე მომენტის ამოცანებს მიღმა, სოფლის შორეული პერსპექტივებისაკენ მიაპყრობენ მზერას. დღითიდღე ძლიერდება ჟინი მყარად მოაკიდებიონ ფეხი დარჩელის ნოყიერ მიწებზე ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, იჯარის სხვადასხვა სახეობებს, დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ აქაური კაცი სრულებით არ გახლავთ უქნარა და მეჩრდილე, გულღრძო და ტრაბახა. მას გული იმ ა: მოსაგონარმა წლებმა, წარმოების აბსურდულმა სისტემამ, ყოვლად გაუგებარმა დოგმებმა და ნორმატივებმა გაუცივა. ახლა, სოფლად ტრადიციული დირებულებების რეანიმაციის ხანაში თანდათან უფრო იკვეთება მიწასთან დასაბრუნებელი ბილიკები. იწამა, დაიჯერა ხალხმა, რომ საქმისთვის შემართულ კაცს წინ ბიუროკრატიულ ხერგილებს ველარ დაუყენებენ.

დარჩელიც ამის მაგალითია. აქ დღეისათვის ეფექტურად ფუნქციონირებს იჯარის პრინციპით მოქმედი 12 ქვედანაყოფი. სხვაზე მეტ შედეგებს მეღორეებმა მიაღწიეს. ნახევარი წლის გეგმა 11 ტონა ხორცის ჩაბარებას ითვალისწინებდა, ფაქტიურად 10,6 ტონა ჩააბარეს. გეგმის ზევით წარმოებული პროდუქცია მეარენდეებს რჩება. ეს უკვე გარკვეული სტიმულია.

ეკონომიკურ დაინტერესებას მეცხოველეობის ფერმაშიც მიაგნეს. მწველავს რძის წარმოების გეგმის ზევით შექმნილი პროდუქციის ჩ0 პროცენტი ნატურის სახით ეძლევა. ეს ის პირობაა, რომელიც ხვალ და ზეგ ხელშეკრულებაში ჩაიდება და ოფიციალურად დააფუძნებს აქ არენდულ სტრუქტურას.

არენდის გემო პრაქტიკულად იგრძნეს მიშა ბიგვავამ, ნოდარ ოთხოზორიამ, იგორ ოთხოზორიამ, ბონდო შელიამ, ლუდია ბიგვავამ და სხვებმა. მათი მოწადინება ხასიკეთოდ დაეტყო დაფნის, თხილის, ციტრუსის პლანტაციებს.

მეარენდეები გეზს იღებენ მაღალ მიჯნებზე. კერძოდ, ჩაის სამექტარო მოსავლიანობას აიყვანენ შვიდ ტონამდე, ხოლო სიმინდის მარცვლისას 85 ცენტნერამდე. თქვენ თუ გჯერათ, რომ ეს მაჩვენებელი არ ჩარჩება სურვილების სფეროში? —ვეკითხებით მეურნეობის ხელმძღვანელს. ციფრი ჩემთვის თვითმიზანი არ არის, — —გვპასუხობს იგი— მე მჯერა ისეთი შრომისმოყვარე და მიწის ყადრის მცოდნე ადამიანებისა, როგორიც არიან მესიმინდეები ჯონი ფვანია, ალიოშა ღულათავა, ბოჩია ქარჩავა, გურამ კოდუა, სერგო აკობია, მეჩაიეები ვენერა ხოჭოლავა, ლოპა მაქაცარია, თამაშა შენგელია, აზა სიჭინავა, ნუცა მანია, ზაირა ლურწკაია და სხვები.

აქაურ მშრომელებთან გასაუბრებისას ცხადი ხდება, რომ სოფლის ეკონომიკის რადიკალიზაციის კურსს ბევრი უკავშირებს თავის ხვალინდელ იმედებს. სურთ რუსეთის დარად საქართველოშიც შემოიღონ კანონი გლეხური მეურნეობის თაობაზე, პროდუქციის მწარმოებელმა ბოლოს და ბოლოს მიიღოს იურიდიული პირის სტატუსი, თვითონ განაგოს თავისი თავი.

შინ მიმავალთ თქორით მობურული ველისის ცა გვაცილებს. თვალის გაწვდენაზე ლაღად ტანაყრილი სიმინდის ყანები და საოიბები ბიბინებს. კოლმეურნეთა საკარმიდამო ეზოები დაფნისა და ციტრუსს, თხილის კორომებს ლურჯისფრად მოუქარგავთ. პროდუქციის რენტაბელობისკენ მიმავალი გზა ნაპოვნი აქვთ დარჩელელებს.

და ღრმად გვჯერა, ამ გზას არ გადაუხვევენ.

ჯ. თელია.

---

## მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა (საკვების გარეშე) რაიონში 1 ივლისისათვის

| კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების დასახელება | რძე (ც) გეგმა 6 თვის | რძე (ც) შესრ. პროც. |
|---|---|---|
| ახალაბასთუმანი | 400 | 125,8 |
| ახალსოფელი | 1120 | 86,9 |
| „კოლხიდა“ | 670 | 106,3 |
| ახალკახათი | 700 | 79,6 |
| გრიგოლიში | 400 | 100,3 |
| ინგირი | 550 | 102,4 |
| კახათი | 2030 | 97,9 |
| კოკი | — | |
| კორცხელი | 500 | 128,8 |
| ნაცატე | 320 | 96,6 |
| ნარაზენი | 1722 | 110,7 |
| ოდიში | 650 | 100,2 |
| ყულიშკარი | 460 | 104,3 |
| ოქტომბერი | 540 | 92,0 |
| რიყე | 450 | 72,9 |
| რუხი | 1400 | 102,6 |
| შამგონა | 790 | 21,7 |
| ჩხორია | 330 | 160,6 |
| ტყაია | 490 | 106,3 |
| ცაიში | 730 | 101,1 |
| ურთა | 360 | 45 |
| ჭაქვინჯი | 220 | 97,3 |
| ჭითაწყარი | 620 | 77,9 |
| ჭკადუაში | 480 | 86,3 |
| ჯიხაშკარი | 1300 | 122,2 |
| ორულუს რძის საწ. | 3240 | 85,4 |
| საბჭოთა მეურნეობები | | |
| აბასთუმანი | 200 | 110 |
| ანაკლია | 430 | 122,8 |
| განარჯიის მუხური | 300 | 71,8 |
| დიდინეძი | — | — |
| ერგეტა | — | — |
| დარჩელი | 1211 | 83,9 |
| ზედაეწერი | 270 | 104,8 |
| ინგირი | 388 | 100,5 |
| ნარაზენი | 20 | — |
| ონარია | 100 | 136 |
| ხეცერა | — | |
| ორსანტიის საბროილერო | 781 | 108 |
| სულ რაიონში | 24300 | 85,4 |

რძის შესყიდვის პროცენტული მაჩვენებელი რაიონში 85.4-ია. რაიონის საშუალო მაჩვენებელს საგრძნობლად ჩამორჩნენ, ურთის, შამგონის, ახალკახათის, რიყის კოლმეურნეობები, განმუხურის საბჭოთა მეურნეობა, რაც განპირობებულია მ. დირგვისადმი უყურადღებობით.

ყოველთვიური უწყება ვადონოთ მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის საქმეში, ჩამორჩენის დასაძლევად.

---

# ქალაქს — სანიმუშო სანიტარული წესრიგი

(პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთობლივ თათბირზე)

—სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი ქალაქის ყველა უბანზე, —ამ დევიზით ჩატარდა ამასწინათ საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთობლივი თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები და ქუჩათა კომიტეტების თავმჯდომარეები.

ქალაქის ტერიტორიაზე სანიმუშო სანიტარული წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციით გამოვიდა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჟურჟუმია.

—უკანასკნელ პერიოდში,— თქვა თათბირზე,— სერიოზული ღონისძიებები ტარდება ქალაქის საწარმოებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის დასაცავად. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა წესრიგში მოიყვანა სახლის წინ მდებარე თხრილები, ინტენსიური მუშაობა სწარმოებს საერთო საცხოვრებლების ეზოების დასასუფთავებლად, მაგრამ ამ მხრივ რაც გაკეთდა სულაც არ არის საკმარისი.

მართალია, ქალაქის ქუჩებში, საწარმოებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვისათვის ბრძოლა უშუალოდ კომუნალური სამსახურის მუშაკების საქმეა, მაგრამ ეს სამსახური მარტო ვერაფერს გახდება თუ საზოგადოებრიობა არ ამოუდგა მხარში, თუ ქალაქის ყველა საწარმოს ხელმძღვანელმა არ იზრუნა საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დამყარებისათვის, თუ ქუჩათა კომიტეტებმა ამ მხრივ არ გააჩაღეს ორგანიზატორული მუშაობა და არ გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები.

იმ მიზნით, რომ ქალაქში სანიმუშო სანიტარული წესრიგის მხრივ შეიქმნას სტაბილური მდგომარეობა, საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით ქალაქი დაყოფილ იქნა მიკრორაიონებად, თითოეულ უბანზე მიმაგრებულ იქნა პასუხისმგებელი პირები და მათვე დაევალათ სისტემატური კონტროლი გაუწიონ სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლის მიმდინარეობას.

თათბირზე ბევრი საქმიანი კონკრეტული წინადადება გამოითქვა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ქალაქის ტერიტორიაზე გვქონდეს სანიმუშო სანიტარული წესრიგი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ბუკაიამ.

## წერილი რედაქციას

# სად არის საკაბელო ტელევიზია?

როგორც იქნა ზუგდიდი გაერთიანდა. დაინგრა ის ოცწლიანი კედელი ქალაქსა და რაიონს ერთმანეთისაგან რომ აშორებდა. დღეს ერთ ახალ ცხოვრებას იწყებს. ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა, ყველა ჭეშმარიტი ზუგდიდელი ერის საუკეთესო შვილებთან დგას. ჩვენ კი ჩვენი რაიონის ცხოვრების ამსახველი ინფორმაციები ისევ გვაკლია. გვიხაროდა საკაბელო ტელევიზია რომ ფეხს იდგამდა და სიახლეებს გვპირდებოდა. სულ მალე ისიც დადუმდა. გაგვიგეთ გაძარცვესო. ნეტავ ვინ იყო ქურდი ან რა წაიღო ისეთი იმ წყეულმა, ამდენხანს რომ ამხელა რაიონმა ვერ შეიძინა. ნუთუ საშველი არ დაადგება. ახლა გამკითხავი არც „ზემოთ", არც „ქვემოთ" არავინ დარჩა?

ვინ გაგვცემს ამაზე პასუხს?!

ლოდინით დაღლილი აბონენტები.

## ყველას, ყველას, ვინც საჭესთან ზის!

ამ მიმართვის დაწერა გვაკარნახა იმ საშინელმა ამბებმა, ენით გამოუთქმელმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა, რაც ამ ბოლო ხანს ჩვენს გზებსა და გზაჯვარედინებზე ხდება. თითქმის დღე ისე არ გავა, გულის შემძვრელი ფაქტი არ გაიგო. იღუპებიან ახალგაზრდები, შავი ძაძებით იმოსებიან დედები, დები, ძალი და ღონე აკლდება ქართველობას. განუქარვებელ დარდს მისცემია მამული ჩვენი. ქალაქსა და სოფლებში იშვიათია ქუჩა, ეზო-კარმიდამო, საიდანაც გულდათუთქული დედების მოთქმა და გოდება არ მოისმოდეს. და ამ ტკივილით, უნაპირო ტრაგიზმით შებურვილ სიტყვებში ხანდისხან საზარელი წყევლა-კრულვაც გაიჟღერებს. ამ სიტყვების ადრესატი ავტომანქანა და მისი შემქმნელია ასე სწამს უბედურ დედას, ასე უნდა სჯეროდეს, რომ მწუხარება ავტომანქანის გამომშვებმა დაატეხა თავს, იმ ეშმით შეგულიანებულმა ცინმა, მანქანის საჭესთან რომ იპყრობს მგავანს. არ გაემტყუნებათ გულდაზაფრულ დედებს, ისინი ტანჯულ სულს ამით იოხებენ. მაგრამ თობამ უბედურება ააცილნა. ამჟერად არავის არ ვასახელებთ, მხოლოდ გულზე ლოდად შემოწოლილი ტკივილის სჯაროდ გამხელა გვსურს.

# გვეყოს ამდენი სიკვდილი

ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნამდვილი მიზეზი სხვაა. ჩქარობენ ახალგაზრდები, ტანში შემოხიზნულ თავაწყვეტილობისა და თვითნებობის ჭინკას ველარ ერევიან. არადა, ამდაგვარ თავხედობას და ცინიზმს გზა არ გაპატიებს. საჭესთან არასერიოზულობასა და თავქარიანობას ფორტუნა აღარ უღიმის.

რამდენჯერ გაგვიფრთხილებიხართ პრესის, რადიოს მეშვეობით, ჩვენო ზუგდიდელებო. იმათი გვარების დასახელებასაც აღარ მოვრიდებივართ, ვინც გზაზე მოძრაობის წესები ანგარიშმიუცემლად დაარღვია და რაღაც იღბლიანმა შემთხვევით.

დღეს საქართველოს დიდი სულიერი გამოცდის ჟამი უდგას. მტრები მოგვიმრავლდნენ, ჩვენი მშვიდობიანად, უსისხლოდ დაპყრობა განუზრახავთ. ასეთ დროს ჭკუას უნდა მოვუხმოთ, ერთმანეთს გვერდით ამოვუდგეთ, ხვალინდელი საქართველოს ბალავერი უნდა შევადუღაბოთ. არავის ვათქმევინოთ, რომ ამ მიწის პატრონად აღარ ვვარგივართ და ხვალ და ზეგ ზურგს უკან მიმალული ისტორიის ვეშაპის ხახა შთაინთქავს.

ამიტომაც მოგმართავთ ახალგაზრდებო. მოგმართავთ თვალჩამქრალი, შაოსანი დედების სახელით, თქვენი მეუღლეების სულში ჩაბუდებული [illegible] დის სახელით, ოღონდ [illegible] ლი ბავშვების სახელით. მოიკრიბეთ გონიერება, მოთოკეთ ნერვები, გამოიჩინეთ წინდახედულება. იმ წუთებში, როცა თვითნებობის დემონი მხრებზე მაცდურად შეგასკუპდებათ და ზღვარგადასული სიჩქარით მანქანის გაქროლებისათვის წაგაქეზებთ, თვალწინ დაიყენეთ დედის დალალული სახე და ნაჯაფი ხელები, მამის კუშტი მზერა, ელდანაკრავი, შეშინებული ბავშვები.

როგორც საკუთარს, ისე ახლობლების სიცოცხლესაც გაუფრთხილდით მეგობრებო. ასე ნუ გავიშინაურებთ სიკვდილს, ნუ გავაცინებთ მტერს. თქვენი სიცოცხლე სჭირდება საქართველოს, თქვენს მშობლიურ ზუგდიდს, ყველა მოყვარესა და ახლობელს.

იფიქრეთ, იფიქრეთ ამაზე.

შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილების ავტოინსპექცია.

## თეატრი

# სეზონის დახურვის წინ

ტრადიციულად, ყოველი თეატრალური სეზონის დახურვის წინ ხდება შემაჯამებელი ახალი სპექტაკლების ჩვენება, რომლებსაც ესწრებიან და აფასებენ საქართველოს კულტურის სამინისტროს და თეატრის მოღვაწეთა კავშირის წარმომადგენლები.

მიმდინარე სეზონის ახალი სპექტაკლების ჩვენება დანიშნულია 24, 25, 26 და 27 ივლისს; შესაბამისად წარმოდგენილ იქნება ახალი დადგმები: რ. მიშველაძის „ნგრევა", ჟან პუარის „სტეფანი ანუ ღალატის ხელოვნება", თ. ბაძღუას „ფარდის დაშვებამდე", გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია".

იმედია, მაყურებელი გულგრილი არ დარჩება თეატრალური სეზონის დასკვნითი საღამოების მიმართ.

ვ. გაბისონია.

## ეკოლოგია

# დასანანია...

კახათწყალი ოდითგანვე ფყო სუფთა და ანკარა თევზები მშვიდად ბინადრობდნენ და მრავლდებოდნენ. დღეს კი... სოფლქიმიის რაიონული გაერთიანების შხამქიმიკატების ჩარეცხვა მდინარეში სპობს სიცოცხლეს.

გაწბილებული ბავშვები ამაოდ სხედან სანაპიროებზე ანკესებით ხელში. მოაქვს ტალღებს მოწამლული უსიცოცხლო ლიფსიტები. თევზები.

დასანანია? დიახაც, რომ დასანანია...

# ქუჩის მცხოვრებთა სახელით

გაუკუღმართდა ბრძნული გამონათქვამი: „კეთილმა სძლია ბოროტსა"... აბა სხვანაირად როგორ უნდა იფიქრო, მკლავენ კეთილს, გონიერს, სინდისიერს. და მაინც ფიქრობენ ბნელი ძალების გადარჩენაზე...

მიწა უნდა იწვოდეს იმ არაკაცთა ფეხქვეშ, ვინაც მაღალი ზნეობის, კაცთმოყვარე, მამულისა, ხალხისა და მიწის მოყვარე კაცური კაცი გამოაცალა ხელიდან მის ღრმად მოხუცებულ დედას, რომელსაც ორი ვაჟკაცი ტანჯვა-წამებით მარტოხელას სასახელოდ აღუზრდია საქართველოსთვის.

სვანეთის ქუჩის კომიტეტის მცხოვრებთა სახელით მოვითხოვთ ვისაც ოდნავ მაინც ბრალი ედება რეზო ივარდავას ამ ტრაგიკული დრამის მოწყობაში, სასჯელის შესაფერისი ზომა შეეფარდოს.

სვანეთის ქუჩის კომიტეტის მცხოვრებთა სახელით:

ჯგუნჯგია გაბრიელი,
ლაშხია ნოდარი,
მარღანია ეთერი.

წერილს ხელს აწერს 207 კაცი.

## მილოცვები, სურვილები...

წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო კომბინატის კოლექტივი ვეტერანის წოდების მინიჭებას ულოცავს ამავე კომბინატის დირექტორს ბორია ალექსანდრეს ძე ჩარკვიანს და უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს შრომით საქმიანობაში.

# მწვანე გზა — ხალხურ საუნჯეს

მეგრულ სიმღერებს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ანსამბლები. ყველა ამ საწყისების ცენტრი და ტონის მომცემი ოდითგანვე იყო ზუგდიდი, სადაც მღეროდნენ და ანსამბლებს ხელმძღვანელობდნენ სახელგანთქმული ლოტბარები: ძუკუ ლოლუა, რემა შელეგია, მარკოზ თორდია, კიწი გეგეჭკორი, ბეგლარ აკობია, გალაქტიონ ჭელიძე, იროდი კალანდია, აკაკი ხარებავა და სხვები. ისინი წლების მანძილზე ხვეწდნენ, ქმნიდნენ და აღადგენდნენ ახალ და ძველ ხალხურ სიმღერებს.

სამწუხაროდ, დღეს რიგი ანსამბლების ხელმძღვანელები ნაკლებ ადგილს უთმობენ რეპერტუარში ძველ მეგრულ სიმღერებს. შეიმჩნევა ისიც, რომ გაურბიან სიმღერის ავტორთა გამოცხადებას.

საბედნიეროდ, ზუგდიდში გვყავს ხალხური სიმღერების დიდი მოამაგე, სახელგანთქმულ ლოტბართა მოწაფე და მემკვიდრე, კულტურის დამსახურებული მუშაკი შოთა ბიგვავა, რომლის ავტორობით დღეს ასრულებენ მრავალ პოპულარულ ნაწარმოებს „საქართველო", „თბილისი", „ქალ-ვაჟთა გაბაასება", „ნადური" და სხვა. მანვე აღადგინა მივიწყებული „ბარბალე", „მწყემსური", „ფაცხა" და მრავალი სხვა.

შოთა ბიგვავას სიმღერებს ფართო ადგილს უთმობენ თავიანთ რეპერტუარში ჩვენი ანსამბლებიც, მაგრამ ისინი რატომღაც ერიდებიან სცენიდან ავტორის გვარისა და სახელის გამოცხადებას, არადა ეს სტიმულია, ეს დიდი ჯილდოა ავტორისათვის.

ზუგდიდელებისათვის უცხო არ არის თვითმოქმედი კომპოზიტორის შოთა ბიგვავას ნაწარმოებთა მოსმენა. გასულ წელს მისივე ხელმძღვანელობით ზუგდიდში ჩატარებული მუსიკალური საზოგადოების ანსამბლების დათვალიერებაზე წარმატებით გამოვიდა ანსამბლი „იერიში". კომპოზიტორისა და ლოტბარის მიერ აღდგენილმა სიმღერამ „ხელ-ხვავი", დათვალიერებაზე რესპუბლიკური ჟიურის მოწონება დაიმსახურა.

ხელოვნების მოყვარულების სახელით გვინდა სამადლობელი ვუთხრათ, ხალხური საუნჯის უბადლო მსახურს შოთა ბიგვავას.

ზ. ალშიბაია.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

## ეს სიახლეა

# 1

# ფერისცვალება

ოქტომბრის ცენტრში შენდება და წელსვე გადაეცემა ექსპლოატაციაში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

მწყობრში ჩადგა რიგით მესამე საბავშვო ბაღი.

მოასფალტდა შიდასასოფლო გზები.

მიმდინარეობს ელექტრომეურნეობის მთლიანი რეკონსტრუქცია, რაზედაც გაიხარჯება 200 ათასი მანეთი.

მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა აფთიაქსა და საექიმო ამბულატორიას.

დაიწყო საშუალო სკოლის მიშენების სამუშაოები, რაზედაც გაიხარჯება 700 ათასი მანეთი.

შვილები: შაქრო, ვაჟა, ლეილა, დები: ქენია, ფაქიზო, რძლები: მადონა ფეტელავა, ლუარა კვარაცხელია, ცოლისძმები კოლია, იროდი საშა ლაგვილავები, შვილიშვილები: დათო, რამაზი, კობა, თემური ცქვიტაიები, ეკა, მაკა, ბაჩუკი მიქავები, დისშვილები: ლემე, არსენა გულუები, ზურაბი, ზაირა ესართიები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

მელიტონ მიხეილის ძე ცქვიტაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 ივლისს. დაკრძალვა 24 ივლისს. გამოსვენება კოსტავას ქ. 49.

ქ. ზუგდიდის №6 ბაგა-ბაღის თანამშრომლები იუწყებიან

მელიტონ მიხეილის ძე ცქვიტაიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რაიკოოპკავშირის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გარსევან გერმანეს ძე კიკალიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა მანანა. მამა ტარიელი. ძმა ბადრი. ბაბუა ვალიკო. ბებიები: ციბიკო. ნუცა. ლოლა. მამიდები: ლეილა. ჟურა, რომა, ამალია. დეიდები: ლიანა. ნანა ჭაჭუები, ბიძები: ვალო. დაზმერი შარიები. ზურაბი ჭაჭუა, ნუგზარი ჯღარკავა, გიგი ცანავა, აბესალომ იოსავა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ნატო ტარიელის ასულ შარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 ივლისს. დაკრძალვა 22 ივლისს. გამოსვენება კიროვის ქ. 30, ბინა 29.

ზუგდიდის სარაიონთაშორისო საათფთიაქო ლაბორატორიის კანტორის, საათფთიაქო ქსელის და საათფთიაქო ბაზის თანამშრომლები იუწყებიან

იპოლიტე თოდუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის მე-7 საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

ელვარდ ტოლიშას ძე ჭურღულიას

გარდაცვალებას.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის — 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 1 38 69, პასუხ[illegible] [illegible]ელი მდივნის — 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების — 2-21-78, მშრომელთა წერილების — 2-25 12, რადიორედაქციის — 2 47 09

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000. შეკ. №3465